ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. ივლისის 15 № 17 თბილისი.

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

81. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხლის შეცვლის შესახებ.

82. სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

83. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 400 მუხლის შეცვლის შესახებ.

84. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

85. კომუნალური სადგურებისა და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ.

86. არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

81. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხლი (საქ. სსრ კან, კრ. 1931 წ. № 4, მუხ. 54) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„59. მოწმედ, ექსპერტად, თარჯიმანად ან თანამოწმედ დაბარებული ყველა პირი ვალდებულია გამოცხადდეს დაბარებაზე. უკეთუ აღნიშნული პირნი არა პატივსადები მიზეზით არ გამოცხადდებიან დანაშაულის წინასწარ გამომკვლევ ორგანოსთან, აგრეთვე უკეთუ მოწმე უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, ხოლო დანარჩენნი—მათთვის კანონით წინასწარი გამოკვლევის დროს დაკისრებული მოვალეობის აღსრულებაზე, გამომკვლევი ორგანო შეადგენს ამაზე ოქმს და გაუგზავნის მას სახალხო სასამართლოს სასჯელის დასადებად სისხლის სამართლის კოდექსის 93 მუხ. 1 ნაწილის თანახმად. უკეთუ აღნიშნული პირნი არ გამოცხადდებიან სასამართლოში ან სასამართლოშივე უარს იტყვიან ჩვენების მიცემაზე ან თავისი მოვალეობის აღსრულებაზე, ზემოაღნიშნულ სასჯელს მათ დაადებს უშუალოდ იმ საქმის გამრჩევი სასამართლო, რომლის გამოც ეს პირნი დაბარებული იყვნენ.

ის, ვინც არ გამოცხადდება არაპატივსადები მიზეზით, შეიძლება მოყვანილი იქნას იძულებით, სასჯელის დადების მიუხედავად.

ამა მუხლში აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ გაწეული ხარჯის საზღაური და გასამრჯელო თავიანთი ჩვეულებრივი საქმისაგან მოცდენისათვის, ხოლო ექსპერტს და თარჯიმანს, ამის გარდა, გასამრჯელო დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის. საზღაურის და გასამრჯელოს რაოდენობა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით“.

2. 59 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 7. მუხ. 104) დატოვებულ იქნას ძალაში.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივლისის 2. № 270/868.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

„ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. ოქტომბრის 17-ს გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) შესაბამისად, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი;

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს: 154 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 16, მუხ. 171). მუხლი 154[1] (საქ. სსრ კან. კრ 1929 წ. № 23, მუხ. 285, 1935 წ. № 30, მუხ. 186), 156 მუხლის 1 და 2 შენიშვანა (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 86; 1935 წ. № 30, მუხ. 186), მუხლი 156[2] (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ, № 16. მუხ. 171) და აგრეთვე 166 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 86).

2. მუხლები 76 (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 6, მუხ. 91), 156, 156[1] (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 14, მუხ. 157). 166 (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 72; 1935 წ. № 30, მუხ. 186) და 171[1] (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 19, მუხ. 112), მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„76. აღმსაგი ვალდებულია გადაიხადოს აღნაგობის უფლების ხვედრი ყველა საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახად-გამოსაღები“.

„156. მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახლებში, მათ შორის ყოფილ კოოპერატიულ სახლებში, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში—აქვთ მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება.

საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლებს, რომელნიც ხელშეკრულების ყველა ვალდებულებას ასრულებენ და კეთილსინდისიერად ინახავენ მათ სარგებლობაში მიჩენილ ბინას, უპირატესი უფლება აქვთ ხელშეკრულების განახლებისა ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისას“.

„156[1]. საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლებს უფლება აქვთ გაუცვალონ მათ მიერ დაკავებული ფართობი სხვა დამქირავებლებს—ურთიერთისათვის ქირავნობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა გადაცემით.

გაცვლა შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველოს ან სახლის მფლობელი თუ იჯარით ამღები სათანადო სახელმწიფო დაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულების, წამოწყებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნებართვით ან იმ ცალკეული მოქალაქის თანხმობით, რომელიც ფლობს სახლს პირადი საკუთრების უფლებით თუ აღნაგობის უფლებით; ამასთანავე, ეს თანხმობა ეხება იმ საცხოვრებელი ფართობის გაცვლას, რომელიც კომუნალურ საცხოვრებელ ფონდში არ შედის".

„166. საცხოვრებელი სადგომის ქირა არ შეიძლება დადებულ იქნას იმ განაკვეთზე მეტი, რაც დაწესებულია ადგილობრივი საბჭოთა მიერ განსაკუთრებული კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში; იმ სახლში, რომელიც ცალკეულ მოქალაქეს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით ან აღნაგობის უფლებით, აგრეთვე რომელიც იჯარით აღებული აქვს ადგილობრივ საბჭოსაგან, ნებადართულია წანამატის გადახდევინება არა უმეტეს კანონით დაწესებული ბინის ქირის განაკვეთის 20 პროცენტისა.

საცხოვრებელი სადგომის ქირა შემოიტანება ყოველი თვისათვის არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა".

„171[1]. სიხელმწიფო დაწესებულებისა ანუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში ან-და მათ მიერ იჯარით აღებულ სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი, უკეთუ მან დაჰკარგა შრომითი კავშირი, რომლის გამოც მას მიცემული ჰქონდა ეს სადგომი, თუ დამქირავებელი არ არის გამოსასახლებელი ადმინისტრატიული წესით (172 მუხლის დანართი), შეიძლება გამოსახლებულ იქნას დაკავებული სადგომიდან მხოლოდ სასამართლოს წესით და მხოლოდ იმ პირობით, რომ ორგანოს, რომელიც გასახლებას აწარმოებს, უნდა დაეკისროს მოვალეობა მისცეს გასასახლებელს სხვა, საცხოვრებლად ვარგისი სადგომი".

3. 171 მუხლის პუნქტები „დ" და „თ" (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 72; 1931 წ. № 3, მუხ. 30) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით და დაემატოს ამ მუხლს პუნქტი „კ" და შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„დ) უკეთუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები თავიანთი ყოფაქცევით შეუძლებელ ხდიან სხვა მდგმურებისათვის მათთან ერთად ცხოვრებას ამავე ბინაზე ან ოთახში;

თ) უკეთუ დამქირავებელმა არ შეიტანა ბინის ქირა სამი თვის განმავლობაში ამ ქირის გადახდის ვადის გასვლიდან;

კ) უკეთუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს და საერთო სარგებლობის ადგილებს;

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, რაც ამა მუხლის „დ", „თ" და „კ" პუნქტებშია გათვალისწინებული, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება მოიშლება სასამართლოს წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად".

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივლისის 2. № 271/848.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 400 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 400 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„400. თვითეულ მხარეს შეუძლიან ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივროს საკასაციო წესით. განსაჩივრება შეუძლიან პროკურორს ხუთი დღე-ღამის განმავლობაში განაჩენის გამოცხადების მომენტიდან, ხოლო სამართალში მიცემულს ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მისთვის განაჩენის ასლის ჩაბარების მომენტიდან. განაჩენის ასლი აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სამართალში მიცემულს 24 საათის განმავლობაში განაჩენის გამოცხადების მომენტიდან. შუამდგომლობა საკასაციო საჩივრის შეტანისათვის ვადის აღდგენის შესახებ შეტანილ უნდა იქნას იმ ოლქის სასამართლოში, რომელმაც განაჩენი დაადგინა და განხილულ უნდა იქნას გამწესრიგებელ სხდომაზე“.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ც.ა.კ.-ის მდივნის მ. ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივლისის 2. № 272/867.
თბილისი.

---

84. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 56) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მუხლი 32 (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 31, მუხ. 193) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„32. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს სასამართლო, საერთო სასარჩელო წესით, დაინტერესებულ პირთა განცხადებით ან მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მიერ ქორწინების მოსპობის რეგისტრაციის დროს შედგენილი აქტის მიხედვით.

ამასთანავე, სასამართლოს შეუძლია, საქმის მიღებისთანავე, სადავო საკითხებისა და საქმის გარემოებათა მიხედვით, საქმის არსებითად გადაწყვეტამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინოს, რომელ მშობელთან დროებით უნდა დარჩნენ შვილები აღსაზრდელად, რომელმა მშობელმა და რა ხარჯი უნდა დროებით გასწიოს შვილების შესანახად და აღსაზრდელად და რომელმა მეუღლემ და რა სახსარი უნდა გაიღოს დროებით მეორე მეუღლის სარჩოდ".

2. 140 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნას.

3. დაემატოს კოდექსს 142^1, 148^1 და 148^2 მუხლები შემდეგი შინაარსისა.

„142^1. იმას რომ ქორწინების რეგისტრაცია მოხდა, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აღნიშნავს რეგისტრაციასთანავე მექორწინეთა პასპორტებში, ხოლო იმ ადგილას, სადაც საპასპორტო სისტემა შემოღებული არ არის,—მხარეთა მიერ წარდგენილ დაბადების მოწმობაში".

„148^1. იმას, რომ განქორწინების რეგისტრაცია მოხდა, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აღნიშნავს რეგისტრაციისთანავე განქორწინებულთა პასპორტებში, ხოლო იმ ადგილას, სადაც საპასპორტო სისტემა შემოღებული არ არის, მხარეთა მიერ წარდგენილ დაბადების მოწმობებში".

„148^2. უკეთუ განქორწინების რეგისტრაცია ჩატარებულია მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის თანადასწრებით, განქორწინების რეგისტრაციას მეორე მეუღლის პასპორტში აღნიშნავს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო იმ ადგილისა, სადაც ეს მეუღლე ცხოვრობს, როდესაც მას ამ ორგანოს მეშვეობით ჩაჰბარდება განქორწინების მოწმობა (მუხ. 148).

უკეთუ იგი არ გამოცხადდა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, პასპორტში აღნიშვნას გააკეთებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანო მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს შეტყობინებისამებრ.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივლისის 2. № 273/866.
თბილისი.

მუხ. 85
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

642

85. კომუნალური სადგურებისა და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 14 მაისის დადგენილებისა „კომუნალური სადგურებისა და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 36, მუხ. 147) და დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 ნოემბრის დადგენილებისა № 1339 „კომუნალური სადგურებისა და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ და 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილებისა „იმ ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ, რომელსაც კომუნალური ელექტროსადგურები და ელექტროქსელები აწვდიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებსა და დაწესებულებებს და შინსახკომის სანაპირო და საშინაო დაცვის ჯარების ნაწილებს“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 22) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს რომ ქ. თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, ხაშურის, გორის ზესტაფონის და ჭიათურის კომუნალური ელექტროსადგურები, რომლებიც რაიონული ელექტროსადგურებისაგან საბითუმო ტარიფის განაკვეთების მიხედვით შესყიდულ ელექტროენერგიას ანაწილებენ, ელექტროენერგიას აწვდიან რაიონული ელექტროსადგურების იმ სატარიფო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც „გლავენერგოს“ საქართველოს რაიონული სამმართველოს—„საქენერგოსათვის“ დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 4 მაისის № 723 დადგენილებით „იმ ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ, რომელსაც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავენერგოს“ სისტემები იძლევიან“

2. დამტკიცდეს იმ ელექტროენერგიის ტარიფები, რომლებსაც იძლევიან ალბულახის, ახალქალაქის, ახალციხის, გუდაუთის, ბათუმის, გალის, გურჯაანის ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მანგლისის, მახარაძის, ონის, ოჩემჩირის, სტალინირის, სოხუმის, თელავის, ხარაგოულის და წულუკიძის კომუნალური ელექტროსადგურები, აგრეთვე მარტვილის, ფოთისა და ცხაკაიას კომუნალური ელექტროქსელები (იხ. ლანართი გვ. 300).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალურ საოგურების და ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფები

(კაპიკობით კილოვატ. საათზე)

	ბინების, კიბეების, ეზოების და საცხოვრებელი სახლების სხვა საოგურების განათება	ქუჩების განათება და რკინისგზის ლიანდაგების, საოგურების, წყლის ავზებისა და ჰაერმიმიოგურების და ჰაერმოპორტების განათება	საწარმოებისა და დაწესებულებების განათება	საავადმყოფოების, საწყობების, რესტორანების, კინოთეატრებისა და ფოტოგრაფიების განათება	სანახაობათა საწარმოების განათება	ტრანსფორმატორებისა, ტროლეიბუსებისა, წყალსადენებისა და კანალიზაციისათვის საჭირო ელექტროენერგია	ჯარის ნაწილების და ყველა ამა თი შენობებისა და საოგურების, აგრეთვე ჰაერმოდრომების განათება ყველა საჰაერმოდრომო შენობებითა და ნაგებობებით	ჯარის შენაერთთა შტაბების და სამხედრო დაწესებულებების განათება
ელექტროსაოგურები								
ალბულახი	50	40	90	200	150	—	40	75
ახალქალაქი	15	13,5	23	45	56	—	12	22,5
ახალციხე	35	31	70	210	132	—	28	52,5
ბათუმი	25	20	50	114	87	27,3	20	37,5
გალი	20	18	40	120	90	—	16	30
გუდაუთი	20	18	40	120	90	—	16	30
გურჯაანი	45	36	72	135	135	—	36	67,5
თელავი	55	44	83	165	165	—	44	83,5
ლაგოდეხი	40	36	60	160	160	—	32	60
ლანჩხუთი	40	36	60	180	140	—	32	60
მანგლისი	50	40	90	200	150	—	40	75
მახარაძე	30	25	50	100	100	37,8	24	45
ონი	20	18	33	120	88	—	16	30
ოჩემჩირე	20	18	40	120	90	—	16	30
სტალინისი	30	24	50	150	90	16,4	24	45
სუხუმი	20	18	40	120	90	19,6	16	30
წალენჯიხა	20	18	40	90	90	—	16	30
ხარაგოული	40	36	60	200	150	—	40	75
ელექტროქსელები								
მარტვილი	20	18	40	60	60	—	16	30
ფოთი	25	20	40	80	90	18,5	20	37,5
ცხაკაია	20	18	36	100	80	—	16	30

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს, რომ სილნალის, ზუგდიდის, აგრეთვე დანარჩენი კომუნალური ქსელების 100 კილოვატზე ნაკლები დაწესებული სიმძლავრის ელექტროენერგიის ტარიფებს ამტკიცებენ სათანადო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით იმ საფუძვლებზე, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 14 მაისის დადგენილებით „კომუნალური სადგურებისა და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 36, მუხ. 147).

4. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ტარიფები ძალაში შედის 1938 წლის 1 ივნისიდან (გარდა ქ. თბილისისა, სადაც ახალი ტარიფი შემოღებულია 1 იანვრიდან) და წინადადება ეძლევათ სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს ერთი თვის ვადაში მოახდინონ გადაანგარიშება ელექტროენერგიის მომხმარებლებთან, თანახმად ამ დადგენილებით გათვალისწინებული სატარიფო განაკვეთებისა.

5. აიკრძალოს ყოველგვარი მიზნობრივი წანამატების გადახდევინება ელექტროენერგიის ტარიფებზე, რომლებიც დაწესებულია ამ დადგენილებით, აგრეთვე აიკრძალოს ცალკეული გამოსაღების გადახდევინება მრიცხველთა გაქირავებისა და მათი შემოწმებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივნისის 22. № 861.
თბილისი.

---

86. არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული. დაწყებითი და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში ქართული ენის შესწავლას არა აქვს დათმობილი საათების საკმაო რაოდენობა (სულ 15—17 საათი ექვსდღიურში საშუალო სკოლის ყველა კლასში). ცალკეული ნაციონალური სკოლებისათვის არ არის ქართული ენის ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც ითვალისწინებენ ნაციონალური ენების თავისებურებებს. არ არის დამუშავებული არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკა და სუსტად არის დაყენებული ამ საქმის მეთოდიური ხელმძღვანელობა. საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ განსახიკომი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება, აგრეთვე სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებანი საკმაოდ არ ზრუნავენ იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნან არაქართული სკოლები ქართული ენის კვალიფიციური მასწავლებლებით.

ამის შედეგად არაქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები იძენენ ქართული ენის სუსტ ცოდნას, რაც საშუალებას არ აძლევს მათ განაგრძონ სწავლა უმაღლეს ქართულ სკოლაში.

ითვალისწინებს რა ნაცუმცირესობათა ახალგაზრდობის დიდ ლტოლვას ქართული უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, აგრეთვე იმის გამო, რომ საჭიროა ქართული ენის ცოდნა-საქართველოს სსრ სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნას 1938 წლის 1 სექტემბრიდან ქართული ენის, როგორც სასწავლო საგნის, სავალდებულო სწავლება საქართველოს სსრ ყველა დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო არაქართულ სკოლებში.

2. იმის გამო, რომ არაქართულ სკოლებში, გარდა რუსული სკოლებისა, III კლასიდან ისწავლება რუსული ენა და რომ ორი უცნობი ენის სწავლის ერთსადაიმავედროს დაწყება ძნელია ბავშვისათვის, ქართული ენის სწავლება სომხურ, თურქულ, აფხაზურ და ოსურ დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში დაწესდეს II კლასიდან, რუსულ სკოლებში კი III კლასიდან.

შეტანილ იქნას ცვლილება დაყენებითი, არასრული საშუალო და საშუალო არაქართული სკოლების და პედაგოგიური სასწავლებლების მომქმედ სასწავლო გეგმაში, ამასთან გამოყოფილ იქნას ამ სკოლებში ქართული ენის შესასწავლად ექვსდღიურში:

ა) სომხურ, თურქულ, აფხაზურ, ოსურ დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში:

II	კლასი	— 2 საათი
III	„	— 3 „
IV	„	— 4 „
V	„	— 4 „
VI	„	— 5 „
VII	„	— 5 „
VIII	„	— 4 „
IX	„	— 4 „
X	„	— 4 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რუსულ დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში:

III კლასი	— 4	საათი
IV „	— 4	„
V „	— 5	„
VI „	— 5	„
VII „	— 5	„
VIII „	— 4	„
IX „	— 4	„
X „	— 4	„

გ) პედაგოგიურ სასწავლებლებში (მათ შორის რუსულშიც):

I კლასი	— 5	საათი
II „	— 5	„
III „	— 5	„

4. დაწესდეს ქართული ენის ცოდნის შემდეგი მოცულობა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო არაქართული სკოლების მოსწავლეებისათვის:

ა) მოსწავლეებმა, რომლებიც დაწყებითს სკოლას 4 კლასს) ამთავრებენ, უნდა შეიძინონ ქართული სიტყვების მარაგი, რაც საშუალებას მისცემს მათ გაიგონ უბრალო ლაპარაკი, გადმოსცენ ქართულ ენაზე მათთვის ნაცნობი მოვლენები ყოველდღიური ცხოვრებიდან, უნდა ჰქონდეთ ქართულ ენაზე კითხვისა და წერის ელემენტარული ჩვევები;

ბ) მოსწავლეებს, რომლებიც არასრულ საშუალო სკოლას (7 კლასს) ამთავრებენ, უნდა შეეძლოთ თავისუფლად და სწორათ გამოხატონ ქართულ ენაზე თავისი აზრი როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც, უნდა ჰქონდეთ მათი ასაკის შესაფერი წიგნით დამოუკიდებლად სარგებლობის ჩვევები, შეიძინონ ქართული გრამატიკისა და სინტაქსის საფუძვლების ცოდნა და ზოგიერთი მაგალითის მიხედვით გაეცნონ ქართულ ლიტერატურას;

გ) მოსწავლეებმა, რომლებიც საშუალო სკოლას (10 კლასს) ამთავრებენ, უნდა იცოდნენ ქართული ენის ძირითადი კანონები და წესები, უნდა შეეძლოთ თავისუფლად კითხვა, ე. ი. მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაგება, ზეპირად და წერილობით გადმოსცენ წაკითხულის შინაარსი, აგრეთვე თავისი აზრი, სწორი ქართული ენით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს, ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომის და ოლქის სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად ამხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენის და ლიტერატურის კათედრის მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა მონაწილეობით ერთი თვის ვადაში გადაამუშაოს ქარული ენის პროგრამა არა ქართული სკოლებისათვის, ამასთან არ დაუშვას გადატვირთვა სასწავლო მასალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გაითვალისწინოს V-VII კლასების პროგრამებში, რომ მოსწავლეები გაეცნონ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს ლიტერატურული კითხვის წესით, ხოლო VIII,IX და X კლასებში—ქართული ენის სისტემატური კურსის შესწავლა.

6. საჭიროდ იქნას ცნობილი ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა ცალკე თვითეული არაქართული სკოლისათვის—სომხური, თურქული, ოსური, აფხაზური და რუსული სკოლისათვის. სახელმძღვანლოების შედგენის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი მოთხოვნებით:

ა) გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეთა დედაენის თავისებურებანი;

ბ) უცნობი სიტყვების რაოდენობა II-IV კლასების სახელმძღვანელოებში განისაზღვროს 500-დან 700-მდე თვითეულში;

გ) მასალა დალაგებულ იქნას მარტივიდან რთულზე გადასვლის წესით და უზრუნველყოფილ იქნას გავლილი სიტყვიერი მასალის განმეორება ახალი ვარიანტით;

დ) სახელმძღვანელოებში მასალა შენახულ იქნას ლექსიკური გაკვეთილებისათვის და სათანადო გრამატიკული ვარჯიში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს, აფხაზეთის ასსრ განსახკომთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად, უზრუნველჰყოს ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენა სწავლების პირველი წლისათვის აღნიშნული მოთხოვნილების შესაბამისად და მათი გამოცემა 1938 წლის 1 სექტემბრისათვის. სახელმძღვანელოების შედგენა დაევალოს სიტყვიერების მასწავლებელთა და მეცნიერ მუშაკთა ბრიგადებს შემდეგი შემადგენლობით: (იხ. ოქმი).

სახელმძღვანელოების წარმოდგენის ვადად დაწესდეს 1 აგვისტო, ამასთან დაევალოს სახელგამს და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის გამომცემლობებს უზრუნველჰყონ მათი გამოცემა 1938 წლის 15 სექტემბრისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს და აფხაზეთის ასსრ განსახკომს და სამხრეთ-ოსეთის სახალხო განათლების განყოფილებას ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალიზებული სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა არაქართული სკოლების დანარჩენი კლასებისათვის დაამთავრონ 1939 წლის 1 სექტემბრისათვის, ამასთან ამ კლასებისათვის 1938-39 სასწავლო წელს ხმარებაში დასტოვონ არაქართული სკოლების ქართული ენის არსებული ერთიანი სახელმძღვანელოები.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს:

ა) ორი თვის ვადაში შეამოწმოს ქართული ენის მასწავლებელთა შემადგენლობა არაქართულ სკოლებში და ამ საგნის სწავლებისაგან გაანთავისუფლოს ის პირები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს მიმდინარე წლის ზაფხულში არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა გადასამზადებელი თვენახევრიანი კურსები ახალციხეში, აფხაზეთის ასსრ-ში, სამხრეთ-ოსეთში, აღბულახში;

გ) უზრუნველჰყოს 1938 წლის 1 სექტემბრისათვის ყველა დაწყებითი არა ქართული სკოლა, სადაც მასწავლებელთა ძირითად შემადგენლობას არ ძალუძს ქართული ენის სწავლება, ქართული ენის მასწავლებლებით იმ პირთა კონტინგენტიდან, რომლებიც მიმდინარე წელს ამთავრებენ პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებს.

იმ დროს, როდესაც ერთს დაწყებითს სკოლაში ქართული ენის მასწავლებელი არ არის უზრუნველყოფილი სრული დატვირთვით, ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს დააკისროს მას ქართული ენის სწავლება ერთსა და იმავე დროს ორ მეზობელ სკოლაში.

10. იმ მიზნით, რომ სისტემატურად მომზადდეს არაქართული სკოლებისათვის ქართული ენის მასწავლებელთა ისეთი კადრები, რომლებსაც ამავე დროს ეცოდინებათ სათანადო ნაციონალური ენა, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს:

ა) გაადიდოს სტუდენტთა მიღება ამხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებებზე იმ მოსწავლეთა რიცხვიდან, რომლებიც ამთავრებენ არაქართულ სკოლას (სომხურ, თურქულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ სკოლებს);

ბ) ამხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე შემოიღოს ერთერთი კავკასიური ენის—სომხური, თურქული, აფხაზური ან ოსური ენის—სავალდებულო სწავლება სტუდენტის სურვილის მიხედვით.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს:

ა) ამხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრებისა და პრაქტიკოს მასწავლებელთა მონაწილეობით შეიმუშაოს და გამოსცეს ცალკეულ ფურცლებად მასწავლებლებისათვის არაქათულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მეთოდურ მითითებათა სერია;

ბ) ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ შექმნას არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის მუდმივი განყოფილება;

გ) სისტემატურად ჩაატაროს მასწავლებლებისათვის ლექციები და სამეცნიერო მოხსენებანი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხებზე და მოაწყოს მათთვის კონსულტაცია მეთოდური კაბინეტების მეშვეობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს 10 დღის ვადაში შეადგინოს არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვა და განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1938 ივნისის 22. № 875.
თბილისი.

ჩაბარდეს პირველ რიგში ხელწერილის ქვეშ

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1938 წ. № 33 პ/მ. **რედაქტორი ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 5/VII 1938 წ. ხელმ. დასაბეჭდად. 19/VIII. ტირაჟი 2000

მთ. რწმ. ა-1189. საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. დაკვ. № 889